საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.20

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №052/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ /სიითი №/ სპეციალიზაცია საერთო სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 26 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. თ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2020 წლის 05 ნოემბერს დისტანციური ფორმატის გამოყენებით გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორი 2019 წლის თებერვლის თვეში შეუთანხმდა ადვოკატ ნ. ძ.-ს საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. კერძოდ, მ. თ.-ს იურიდიული დახმარება სჭირდებოდა მეუღლესთან არსებულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით: განქორწინების, ალიმენტისა და ქონების

გაყოფის საკითხზე. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. ძ.-ს წინსწრებით, მოთხოვნისთანავე, ხელზე გადასცა ჰონორარის სახით 600 ლარი, რაც მოიცავდა ზემოაღნიშნულ საქმეზე გასაწევ საადვოკატო მომსახურებას. საჩივრის ავტორმა დამატებით ადვოკატს ხელზე გადასცა სახელმწიფო ბაჟისთვის გადასახდელი თანხა 1500 ლარი, რის შემდგომაც ადვოკატმა მ. თ.-ს აცნობა, რომ სასამართლომ საქმეზე დაადგინა ხარვეზი, რადგან დამატებით კიდევ იყო საჭირო ბაჟის სახით 1500 ლარის გადახდა, რაც აგრეთვე გადასცა საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოთხოვნისთანავე.

1.4 2019 წლის ოქტომბრის თვეში საჩივრის ავტორმა მოიკითხა თავისი საქმე და გაარკვია, რომ ადვოკატს სასამართლოსთვის მის საქმესთან დაკავშირებით არ ჰქონდა მიმართული. ვინაიდან, ადვოკატს საქმისწარმოება არ ჰქონდა დაწყებული, საჩივრის ავტორმა მოითხოვა გადახდილი ჰონორარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადაცემული თანხის 3000 ლარის დაბრუნება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ერთხელ დაეხმარა ადვოკატი. კერძოდ, მ. თ.-ის მეუღლეს ოჯახურ ძალადობის საქმეზე სამთვიანი წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, რომლის დამცველსა და ადვოკატ ნ. ძ.-ს შორის შეთანმხების მცდელობა არსებობდა იმის თაობაზე, რომ საპატიმროდან გათავისუფლებამდე, საჩივრის ავტორის მეუღლეს უფლება მიეცა მ. თ. უზრუნველყოფილი ყოფილიყო შვილებთან ერთად თავშესაფრით, თუმცა აღნიშნულზე შეთანხმება არ შედგა. საბოლოოდ, საჩივრის ავტორის მეუღლის დამცველი და ადვოკატი ნ. ძ. შეთანხმდნენ, რომ სასამართლო დავის დამთავრებამდე ერთობლივად შეძენილ საცხოვრებელ სახლში („დაჩაზე“) ეცხოვრა საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნული მოქმედება შეთანხმების შესაბამისად, უსასყიდლოდ უნდა განეხორციელებინა ადვოკატს და აღნიშნული არ მოიცავდა გადახდილ ჰონორარში გასაწევ იურიდიულ მომსახურებას.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, ადვოკატს მის საქმესთან დაკავშირებით არაფერი გაუკეთებია. 2020 წლის იანვარში ადვოკატმა გადაცემული თანხის ნაწილი - 1000 ლარი დაუბრუნა საჩივრის ავტორს.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ძ. მასთან საუბრისას არ უარყოფს, რომ მას მიღებული ჰონორარის - 600 ლარი და დარჩენილი ბაჟის თანხის - 2000 ლარის დაბრუნების ვალდებულება აქვს, თუმცა საჩივრის ავტორთან საუბარში აცხადებს, რომ „დასჭირდა და დაეხარჯა“.

1.7 ადვოკატი ნ. ძ. პირდებოდა საჩივრის ავტორს დარჩენილი თანხის დაბრუნებას. მათ შორის, მ. თ.-ს ადვოკატი დაუკავშირდა 2020 წლის 05 ნოემბერს, ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომის დაწყებამდე და განუმარტა, რომ „იქნებ სხდომა გადადებულიყო“, რადგან თვის ბოლომდე შეძლებდა მისთვის თანხის დაბრუნებას.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის მორიგების შემთხვევაში, თანახმა იქნებოდა ჰონორარის მიღების თაობაზე უარი ეთქვა და მხოლოდ გადაცემული სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განკუთვნილი თანხა დაებრუნებინა ადვოკატს მისთვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატს ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 2020 წლის 07 ივლისს გაეგზავნა საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად და განესაზღვრა ვადა წერილობითი

განმარტების წარმოდგენისათვის. ადვოკატმა ნ. ძ.-მა 2020 წლის 24 ივლისს საპროცესო კოლეგიის წინაშე იშუამდგომლა, რომ მისცემოდა აგვისტოს თვემდე დრო მომჩივანთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, თუმცა ადვოკატს ეთიკის კომისიისთვის მორიგების თაობაზე ინფორმაცია არ მოუწოდებია.

2.2 ადვოკატი 2020 წლის 29 ივლისს მასთან გასაუბრების მიზნით ჩანიშნულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადებულა.

2.3 ადვოკატი შეტყობინების მიუხედავად, არ დასწრებია დისტანციურ ფორმატში გამართულ 2020 წლის 05 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომას და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე მიუმართავს კოლეგიისთვის. აღნიშნული სხდომის დაწყებამდე, ეთიკის კომისიის აპარატის მიერ განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციისას, ადვოკატმა ნ. ძ.-მა განაცხადა, რომ აპირებდა საჩივრის ავტორთან მოორიგებას, ამასთან, ვინაიდან, ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას, შუამდგომლობდა სხდომის გადადებას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2020 წლის 06 აგვისტოს, მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის მიღებული ჰონორარის პროპორციულად არ განუხორციელებია საადვოკატო მომსახურება და არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის გამოუმუშავებელი ჰონორარი და მისგან მიღებული ფულადი სახსრები შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ)-ის 8.15 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2019 წლის თებერვალში ადვოკატ ნ. ძ.-ს საჩივრის ავტორისთვისს უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება საჩივრის ავტორის მეუღლესთან არსებულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით, კერძოდ, განქორწინების, ალიმენტისა და ქონების გაყოფის საკითხზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები;

მინდობილობა;

4.2 მხარეებს შორის სადაოა შემდეგი ფაქტი: რა მოცულობის საადვოკატო მომსახურება გასწია ადვოკატმა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით.

კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებას და ასევე, ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილ ახსნაგანმარტებას;

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ძ.-მა მონაწილეობა მიიღო მისი მეუღლის წარმომადგენელთან მორიგების პროცედურებში. კერძოდ, ადვოკატ ნ. ძ.-სა და საჩივრის ავტორის მეუღლის დამცველს შორის გაფორმებული შეთანხმებით, საჩივრის ავტორს შეეძლო მისცემოდა უფლება მ. თ.-ს ეცხოვრა მეუღლესთან თანაცხოვრების პერიოდში შემენილ საცხოოვრებელ სახლში „დაჩაზე" დროებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს გარდა აღნიშნულისა, საქმესთან დაკავშირებით რაიმე იურიდიული მოქმედება არ განუხორციელებია.

კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის იურიდიული მოქმედებები შეასრულა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატს გარდა ზემოაღნიშნული მოქმედებისა საადვოკატო მომსახურება არ განუხორციელებია, მათ შორის არც სასამართლოში უწარმოებია საქმე. ადვოკატს აღნიშნულზე კვალიფიციური შედავება არ განუხორციელებია

4.3 მხარეებს შორის სადაოა მიღებული ჰონორარისა და საქმესთან დაკავშირებით გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხის ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ მიღება.

მოცემულ შემთხვევაშიც, კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებას და აგრეთვე, ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას და საჩივრის ავტორის მიერ კომისიისთვის წარმოდგენილ მტკიცებულებას;

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის გადასცა ჰოორარის სახით 600 ლარი და აგრეთვე, ადვოკატის მთხოვნისამებრ, სასამართლოში საქმისწარმოების მიზნით, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად საჭირო თანხა - 3000 ლარი, თუმცა ადვოკატს საქმისწარმოება სასამართლოში არ დაუწყია. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატმა 1000 ლარი დაუბრუნა.

საქმეში წარმოდგენილია ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებული მიმოწერები, (იხ.მიმოწერები) რომლის ნამდვილობა ადვოკატ ნ. ძ.-ს სადავოდ არ გაუხდია. წარმოდგენილი 2020 წლის 24 იანვრის მიმოწერიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა 1000 ლარი და პირდებოდა დარჩენილი თანხის დაბრუნებას.

შედეგად, კომისიაში დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 600 ლარი და ბაჟის სახით გადასახდელი თანხა - 3000 ლარი, საიდანაც, 1000 ლარი საჩივრის ავტორს უკან დაუბრუნა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარისა და კლიენტის მიერ მინდობილი თანხების დაბრუნების ვალდებულება:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15

6.2 განხილვის კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის მითითებას იმის თაობაზე, რომ კლიენტი და ადვოკატი ურთიერთობის დასაწყისში თანხმდებიან იმ საფასურზე, რომლის ფარგლებშიც უნდა განახორციელოს ადვოკატმა მომსახურება, აგრეთვე, შესაძლოა, კლიენტმა ადვოკატს გადასცეს საქმისწარმოებისთვის გასაწევი ხარჯებისათვის თანხა, მათ შორის გადასცეს სასამართლოში საქმისწარმოებისთვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხა. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის, აგრეთვე, კლიენტის საქმის წარმოების მიზნით გაუხარჯავი ფულადი სახსრების დაბრუნება.

6.3 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

6.4 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ “ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების

ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს 2019 წლის თებერვალში საჩივრის ავტორთან შეთანხმებების შესაბამისად, უნდა ეწარმოებინა საოჯახო საქმე, მათ შორის წარმოედგინა მ. თ.-ის ინტერესები სასამართლოში. კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ნ. ძ.-მა შეასრულა გარკვეული იურიდიული მოქმედებები საჩივრის ავტორის საქმესთან საოჯახო დავასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჩივრის ავტორის მეუღლის წარმომადგენელთან აწარმოა მოლაპარაკებები, თუმცა ადვოკატს აღნიშნულის გარდა არ განუხორციელებია რაიმე მოქმედება. შედეგად, ადვოკატს მიღებული ჰონორარის პროპორციულად არ განუხორციელებია საადვოკატო მომსახურება.

6.6 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ნ. ძ.-მა საჩივრის ავტორისგან მიიღო სასამართლოში საქმისწარმოებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად საჭირო თანხა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას განუცხადა, რომ ვერ უბრუნებდა თანხას, რადგან „დასჭირდა და ეხარჯა“. კომისია აღნიშნავს, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატ ნ. ძ.-ის კლიენტის ფულად სახსრებს და ის მიზნობრივად უნდა განკარგულიყო. მინდობილი თანხები, რომელიც წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას, იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნობრივად არ იქნა ათვისებული, არ უნდა დაყოვდნეს რაიმე სახით ადვოკატის ანგარიშზე და კლიენტს შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში უნდა დაუბრუნდეს.

6.7 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის მიერ მინდობილი ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება.

6.8 ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან და ადვოკატის ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელის სახით - გაფრთხილება.

6.9 კოლეგია აღნიშნავს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.10 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.11 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.12 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.13 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.14 კომისია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ადვოკატ ნ. ძ.-ის დამოკიდებულებას როგორც ჩადენილი ქმედებისადმი, აგრეთვე, კომიისიაში საქმის განხილვის მიმართ. კომისიისთვის მხოლოდ ცნობილია საპროცესო ეტაპზე საქმის განხილვის დროს ადვოკატის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას სურდა საჩივრის ავტორთან მორიგება. ადვოკატი ნ. ძ. არ გამოცხადებულა განხილვის კოლეგიის არცერთ სხდომაზე და არც წერილობითი ფორმით მოუწოდებია განმარტება განხილვის კოლეგიისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე, როგორც საპროცესო ეტაპზე, აგრეთვე საქმის განხილვის ეტააპზე მიეცა შესაძლებლობა ეთიკის კომისიის წინაშე წარმოედგინა თავისი პოზიცია როგორც წერილობითი, აგრეთვე ზეპირი ფორმით.

6.15 ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2019 წლის 20 სექტემბრის N 070/18 გადაწყვეტილებით, მიუხედავად ადვოკატის გამოუმუშავებელი ჰონორარის ნაწილის დაბრუნებისა დაირღვა აპეკ-ის 8.15 მუხლი, ვინაიდან, პროფესიული ვალდებულების ჯეროვან შესრულება არ წარმოადგენდა, დისციპლინური საქმის ეთიკის კომისიაში განხილვისას, მიღებული თანხის ნაწილის წელიწადნახევრის შემდეგ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისთვის დაბრუნება და ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკმენდაციო ბარათი. 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილებაში მსგავსად აღნიშნული საქმისა დადგინდა 8.15 მუხლის დარღვევა, თუმცა მხოლოდ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევის ნაწილში და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დაირღვა აპეკ-ის 8.15 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულება გამომუშავებელი ჰონორარის და აგრეთვე, კლიენტის ფულადი სახსრების დაუბრუნებლობის ნაწილში.

6.16 ამ პირობებში, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.17 დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რაც იქნება დასახული მიზნით მიღწევის გონივრული და პროპორციული საშუალება.

6.18 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34.1(ა)-ე, 35-ე, 35[1]-ე, 36-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N052/20 ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/